შპს აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური "ემჯიაი ჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018წ. 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	4	314,062.00	223,643.00
სავაჭრო მოთხოვნები	5	111,745.00	83,681.00
გადახდილი ავანსები		54,001.00	46,818.00
გაცემული სესხები	6	133,830.00	129,610.00
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	1,332.00
მისაღები პროცენტები		6,591.00	5,429.00
სულ მიმდინარე აქტივები		*620,229.00*	*490,513.00*
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	215,542.00	236,737.00
მიწის ნაკვეთი		119,662.00	119,662.00
საინვესტიციო ქონება		1,872,899.00	1,912,037.00
არამატერიალური აქტივები		1,455.00	1,455.00
სულ გრძელვადიანი აქტივები		*2,209,558.00*	*2,269,891.00*
სულ აქტივები		2,829,787.00	2,760,404.00
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
სავაჭრო ვალდებულებები	8	89988	83695
საგადასახადო ვალდებულებები		2388	
ვალდებულება პარტნიორების წინაშე		242000	465000
გადასახდელი ხელფასები		50440	13240
მიღებული ავანსები		22018	0
სულ ვალდებულებები		*406834*	*561935*
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1088400	1088400
გაუნაწილებელი მოგება		1334553	1110069
სულ საკუთარი კაპიტალი		*2,422,953.00*	*2,198,469.00*
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,829,787.00	2,760,404.00

დირექტორი: გ.ხმალაძე

მთ. ბუღალტერი: ლ.ავეტისიანი

შპს აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური "ემჯიაი ჯორჯია"

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

დასახელება	31.12.2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	542,495.00
არასაოპერაციო შემოსავალი	44,196.00
სულ შემოსავალი	*586,691.00*
საოპერაციო ხარჯები:	
რემონტის ხარჯი	1,747.00
შრომის ანაზღაურება	214,200.00
საიჯარო ქირა	480.00
საკომუნიკაციო ხარჯი	3,152.00
კომუნალური ხარჯი	7,776.00
დაზღვევის ხარჯი	6,040.00
საკონსულტაციო ხარჯი	1,479.00
ცვეთის ხარჯი	60,842.00
საგადასახადო ხარჯი/ქონების გადასახადი	21,200.00
საკანცელარიო ხარჯი	615.00
სხვადასხვა მომსახურება	31,707.00
სულ საოპერაციო ხარჯები:	*349,238.00*
არასაოპერაციო ხარჯები:	
საქველმოქმედო ხარჯი	725.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	12,235.00
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	*12,960.00*
მოგების გადასახადი	9.00
სულ ხარჯები	362,207.00
საანგარიშო პერიოდის ფინანსური მოგება (ზარალი)	*224,484.00*

დირექტორი: გ.ხმალაძე

მთ. ბუღალტერი: ლ.ავეტისიანი

	31.12.2018წ.
მოგება გადასახადებამდე	224,493
კორექტირებები:	
მოგების გადასახადი	(9)
ცვეთა და ამორტიზაცია	60,842
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**285,326**
ცვლილებები სავაჭრო მთხოვნებში	(28,064)
ცვლილებები გადასახდელ ავანსებში	(7,183)
ცვლილებები გაცემულ სესხებში	(4,220)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	1,332
ცვლილებები მისაღებ პროცენტებში	(1,162)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	6,293
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	2,388
ცვლილებები ვალდებულებებში პარტნიორების წინაშე	(223,000)
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	37,200
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	22,018
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(194,398)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ ჩამოწერა	(509)
არამატერიალური აქტივების შეძენა/ ჩამოწერა	-
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(509)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	-
ცვლილებები ვალდებულებში მოკლე პოზიციიდან	-
ცვლილებები გრძელვადიან ვალდებულებებში	-
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**-**
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	**90,419**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	223,643
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**314,062**

დირექტორი: გ.ხმალაძე

მთ. ბუღალტერი: ლ.ავეტისიანი

შპს აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური "ემჯიაი ჯორჯია"

2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	*გაუნაწილებელი მოგება*	*სულ*
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	1,088,400.00	1,110,069.00	2,198,469.00
საანგარიშო პერიოდის ცვლილებები			-
საანგარიშო პერიოდის მოგება/ ზარალი	-	224,484.00	224,484.00
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	1,088,400.00	1,334,553.00	2,422,953.00

დირექტორი: გ.ხმალაძე

მთ. ბუღალტერი: ლ.ავეტისიანი

შპს აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური „ემჯიაი ჯორჯია“ (საინდეტიფიკაციო # 211358519)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებეთი შენიშვნები 2018წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ძირითადი საქმიანობა

შპს აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური "ემჯიაი ჯორჯია" (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია საბურთალოს რ-ნის სასამართლოს მიერ 1995 წლის 30 ნოემბერს, რეგისტრაციის #5ა/4-211, საიდენტიფიკაციო ნომრით: 211358519. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის 19, მე-5 სართული.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი საგანია აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურება; უძრავი ქონების იჯარა.

კომპანია არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. *მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა*

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში მსს ფასს-ის შესაბამისად.

ვინაიდან კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, შპს ემჯიაი ჯორჯია სარგებლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „სარეკომენდაციო მითითებით მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციასა.

2.1 *ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება, ცვეთა*

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში, ან ხდება მათი აღრიცხვა (აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის

მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა (შეკეთებისა) და შენახვის ხარჯები განიხილება კაპიტალიზირებად დანახარჯად, მათი წარმოქმნის პერიოდების მიხედვით და ზრდის აღნიშნული ძირითადი საშუალების ღირებულებას. აქტივების ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე მათი ღირებულება არ არის არსებითად შეცვლილი, რის გამოც არ საჭიროებს გადაფასებას.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონებას განეკუთვნება ისეთი ქონებაც, რომლის მშენებლობა ან განახლება მიმდინარეობს საინვესტიციო ქონებად სამომავლო გამოყენებისთვის. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

შემდგომი დანახარჯები მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, თუ კომპანია მოელის მისგან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და თუ შესაძლებელია თვითღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები ტარდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე.

თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მესაკუთრე, მაშინ ხდება მისი რეკლასიფიცირება შენობებად. მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიცირების თარიღისთვის ხდება მისი დასაშვები ღირებულება, რომელიც შემდგომში ცვეთას ექვემდებარება.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

კომპანიის ბალანსზე არსებული მატერიალური აქტივების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით.

2.2 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღრებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის ვადით.

***2.3** ფული და ფულის ექვივალენტები*

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაბრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

2.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად, არ გააჩნია ბალანსზე გადავადებული გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯს.

2.5 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი გასამრჯელოს გადახდები.

2.6 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით). უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

2.7 მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება გაწეული მომსახურებიდან მისაღები თანხებისაგან.

2.8 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსი დაკავშირებულია არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის

დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

2.9 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან პერიოდულად ხდება დივიდენდების გატანა, რომელზეც გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.

2.10 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურეობის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება უნდა აღიარდეს მომწოდებლისათვის გადასახადელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

2.11 შემოსავალი

კომპანიამ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდის ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა კომპანიაში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან/მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

2.12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ.

ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

4. ფული და ფულადი ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტები 2018წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018წ.
ნაღდი ფული სალაროში	7,435
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	**144,506**
ფული საბანკო ანგარიშზე - აშშ დოლარი	**160,550**
ფული საბანკო ანგარიშზე - ევრო	**96**
ფული საბანკო ანგარიშზე - ფუნტი სტერლინგი	**1,475**
სულ ფული და ფულადი ექვივალენტი	314,062

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2018წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018წ.
მოთხოვნები მოიჯარეების მიმართ	97,923
მოთხოვნები აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურებიდან	**13,822**
სულ სავაჭრო მოთხოვნები	111,745

6. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2018წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018
სს "ქართული კრედიტი"	133,830
სულ გაცემული სესხები	133,830

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთი	შენობა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები
ბალანსი 01.01.2018წ. მდგომარეობით	119,662.00	1,989,216.00	35,105.00	124,453.00
შესყიდვა			508.00	
ჩამოწერა				
ნაშთი 31.12.2018წ. მდგომარეობით	119,662.00	1,989,216.00	35,613.00	124,453.00
დაგროვილი ცვეთა				
ცვეთა პერიოდისათვის	-	(44,766.00)	(7,024.00)	(9,051.00)
საბალანსო ღირებულება 31.12.2018წ.მდგომარეობით	*119,662.00*	*1,944,450.00*	*28,589.00*	*115,402.00*

8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2018წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018წ.
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	89,988
სულ სავაჭრო ვალდებულებები	**89,988**

9. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- გეოგრაფიული რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება, შემდეგია:

ფინანსური აქტივები	31.12.2018წ.
სავაჭრო მოთხოვნები	111,745
ფული და ფულადი ექვივალენტები	314,062
სულ ფინანსური აქტივები:	**425,807**

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2018წ.
სავაჭრო ვალდებულებები	406834
სულ ფინანსური ვალდებულებები:	**406,834**

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისათვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2018წ.
სავაჭრო მოთხოვნები	111,745
ფული და ფულადი ექვივალენტები	314,062
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	**425,807**

გეოგრაფიული რისკი

კომპანიის აქტივები საქართველოში მდებარეობს. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანია ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიბმული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების

განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის რისკები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდებაიცვლება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად

ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. განხორციელებული ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია მსს ბასს არის:
პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე.

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა იმ ჯგუფის რომელიმე წევრის, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე მსს ფასს _ 2015 წ. © IFRS Foundation 353 საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს

(a) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

(viii)(a) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2018წ. მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	ხელფასის ხარჯი
აღმასრულებელი მენეჯმენტი/დამფუძნებელი	60,000
სულ:	60,000

12. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და

- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

13. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

14. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.